

# ଲକ୍ଷ୍ମୀବିନ୍ଦୁ

## ଶ୍ରୀକପତ୍ରପତ୍ରିନାନନ୍ଦ ହାମିତ୍ତେବା

ପ୍ରକାଶନ ନଂ 29.

ଜାନୁଆରୀ, 7 ଟେଲିଗ୍ରାଫ୍ ମେସାନ୍ତର୍ 1910 ଫି.

ଦିନାଂକ ନଂ 6



“ଲକ୍ଷ୍ମୀବିନ୍ଦୁ,” — ଶ୍ରୀକପତ୍ରପତ୍ରିନାନନ୍ଦ ହାମିତ୍ତେବା

## დ. რამიშვილი

და ბოლოს მხოლოდ ცხევლი მდუღარე

ბავშვობა. წიგნი. მოწყენილობა.  
სიზარმაცე და მუქარა მწარე;  
სწავლის დროს ტანჯვა, დიდი ვაება, —  
და ბოლოს მხოლოდ ცრემლი მდუღარე.

ყმაწვილკაცობა. ცვალებადობა.  
ვნებათა-დელფა ცეცხლებ მგზნებარე;  
კოცნა. ღალატი. ტკბილი ოცნება. —  
და ბოლოს მხოლოდ ცრემლი მდუღარე.

ვაჟკაცობა და სულით დაცემა.  
ვარდისა ნაცვლად ნარი ახარე;  
ცხოვრებისაგან გულ-მოჯერება, —  
და ბოლოს მხოლოდ ცრემლი მდუღარე.

სიბერე. გრძნობათ აღრე ღაპ-  
კნობა.  
წელში მოგვტეხავს მეხი მჭექარე;  
ძალა მიფრინავს. სიცოცხლე ღნე-  
ბა. —  
და ბოლოს მხოლოდ ცრემლი მდუ-  
ღარე.

თავისუფლება არ არსებობს!

თავისუფლება არ არსებობს, ჩვენ  
მონები ვართ...  
მძიმე ხუნდებით ხელ-ფეხი გვაქვს პირები მსახიობი-ქალი ჭართულ სცენისა. გარდაიცვალა  
კვლავ დაბორკილი; 1900 წ. 23 ნოემბერს წელს სწორებ 10 წელიწადი შესრულდა.  
ბედის კანონი სასტიკია და ულ- (იხ. „დროება“-ში ფელეტონები ნიკ. ავალიშვილისა:  
მობელი,  
მარად იტანჯვის და ცრემლს აფრქვეს ადამის შვილი.

თავისუფლება არ არსებობს!.. ის ოცნებაა!..  
ერთი მონა გულთა მღრღნელის, სასტიკ ეჭვების  
და მეორე კი სამუდამო მწარე სევდების,  
ყველა სუსტია, მოღალატე თვის წმინდა ნების!..

თავისუფლება არ არსებობს, თუმც მას ვღალადებთ!  
კაცთ ნათესავი თუმცა მუდამ მასზე ლოცულობს;  
მშვენიერებას ამკობს მხოლოდ თავისუფლება,  
ბედის გარეშე სულ არ არსებობს!..

### X 6 უ მ ე ფ ი ც ე ბ ი!

ნუ მეფიცები, მითომ გიყვარვარ,  
ეგ ნაზი გრძნობა აღრე გაპერება;  
მშვენიერია კოკორი ვარდი,  
მაგრამ საბრალო, ხელში მსწრაფლ სკუნება.

ნუ მეფიცები, მითომ უჩემოდ  
არ შეგიძლიან, ტურფავ, ცხოვრება;  
ოჰ, რომ იცოდე დროს ვითარებით  
ხსოვნისა ძაფი რა ადრე სწყდება!

გშვენიერია კოკორი ვარდი,  
მაგრამ საბრალო, ხელში მსწრაფლ სკუნება;  
გული მარად უამს ელტეის სხვა გრძნობას  
და ერთფერობას ვერ ეგუება!..

ა. შანშიაშვილი.

## მ თ ნ ე ბ ი.

ა. დოროშევიჩისა

დახურული ურემი, რომელზედაც  
ჩვენ ვისხედით, ძლივს-ძლივს მიე-  
თრეოდა.

ეს იყო სამხრეთ ინდოეთში. ირ-  
გვლივ მომაკვდინებელი სიცხე-პაპა-  
ნაქება იდგა. უდაბნო იყო.

ჩემი ინდოელი მოსამახურე თურ-  
მე სიმართლეს ამბობდა, როცა  
მარწმუნდებდა, სჯობია რკინის გზით  
წიხვიდეო.

— მაგრამ მე იმიტომ მოყედი,  
რომ ეს ქვეყანა კარგად გავიც-  
ნო! — მტკიცედ ვუთხარი მას  
შინ მე.

— ჩემო მბრძანებელო! ეს ქვე-  
ყანა დღისით არ არსებობს! —  
დამტკრეულის ინგლისურით მიპა-  
სუხა ჰანეპატმა.

ასე ეძახდნენ ჩემს დროებით მო-  
სამსახურეს.

ახლა ვგრძნობდი, რომ ჰანეპატი მართალი იყო. როცა  
რომელიმე სოფელში შევდიოდით, გეგონებოდათ, შავი ჭი-  
რი. მძინარებს და ერთი სულიც არ გადარჩენილოთ.

არც ადამიანი, არც პირუტყვი. თითქოს ადამიან ები  
ამოიხოცნენ და უპატრონო პირუტყვები გაიფანტნენ.

დღისით ინდოეთს სძინავს. სულ სხვაა, როცა ექვს  
საათს გადასცულდება. მაგრამ როდის, რამდენი წლის შემ-  
დეგ დადგება ეს მეექვსე საათი, საღამოს ექვსი საათი?!

რა წამს მხე ჩავა და გადაეფარება თუ არა დედამიწას  
თითქოს ბრილიინტებისაგან მოქსოვილი სუდარი ვარსკვლა-  
ვებისა, ინდოეთი ამოძრავდება და ახმაურდება.

ინდოეთი საზღაპრო ქვეყნად იქცევა. ღამის წვედიად-  
თან ერთად მატულობს ფეხის ხმა, ლაპარაკი, სიმღერა, სი-  
ცილი, ურმის ჭრიალი. ინდოეთი მოძრაობს. ინდოეთი იღ-  
ვიძებს. გათენებამდის სცოცხლობს...

დღისით შუადღისას-კი გარშემო სიკვდილი და ჰაპანა-  
ქებაა. ყველაფერი იწვის და ან უკვე დამწვარა. არსაღ მდე-




ა. დოროშევიჩისა

ლო არა სჩანს. ერთი წვეთი წყალიც არ მოიპოვება. მომა-  
კვლინებელი პაპანაქებაა.

ციცაბო ნაპირებიდან ამომშრალ მდინარისაკენ ფრთხი-  
ლად დავეშვით.

ურემი გულშემზარავად ინჯლრეოდა სხვა და სხვა ზო-  
მის ქვებზედ.

მდინარის ადგილის ქვებილა დარჩენილიყო. თუ სადმე  
ნაპრალში წყალი კიდევ იყო, ახლო მიკარება არ შეიძლე-  
ბოდა. ჰყარდა. ლეშის სუნი ტრიალებდა. შავი ჭირი გა-  
გონდებოდათ.



მოლა ჰასან-ფესაი ირმარმი,

ოსმალეთის პარლამენტის წევრი, ქართველი მაპმადიანი.

მდინარის გაღმა აღმართზედ ძლივს ავცოცდით. ისევ  
გადამწვარი უდაბნო დაგვჭვდა. არსად წყალი, არსად მდე-  
ლო. მხოლოდ ლურჯი ცა და სუნთქვის შემსუთავი მზე  
იყო.

მეც, მეურმეც, ჰანეპატიც, ხარებიც—ყველანი ღორნე-  
მიხდილნი და დაღალულნი ვიყავით.

გაშოთილხარ და ყოველ წუთს მოელი, რომ საცაა  
დამბლა დაგვცემა. არც კი გეშინიან. დამბლაც სასურველია,  
სიცეს დააღწიო თავი ნახევრად გძინავს, ნახევრად გულ-  
მიხდილი ხარ.

უცებ მოულოდნელმა ხმაურობამ გამომაფხიზლა—ადა-  
მიანგების ხმამ.

გამოვერკვი. უდაბნოში ვიღაცები ლაპარაკობდნენ. თითქოს ყველანი ერთმანეთს ეკითხებოდნენ რაღაცას და  
პასუხს კი არავინ იძლეოდა. სიტყვებს ჩქარ-ჩქარა, სხაპა-  
სხუბით ამბობდნენ და ყოველ ფრაზას რომელიმე ხანგრძლივ  
ამოკვენებით აბოლოვებდნენ:

- ე-ე-ე-ე-ე?
- თრა-თა-თა-თა-ე-ე-ე-ე?
- თრა-თა-თა-თა-ა-ა-ა-ა?
- თრა-თა-თა-თა-ი-ი-ი-ი?

ეს თურმე პარიები \*) ადგილობრივ ენაზე ლაპარაკობ-  
დნენ.

ურმის სახურავიდან გავიხედე და თვალწინ შემდეგი  
სურათი წარმომიდგა. ურმის უკან ბრინჯაოს ფერი, ტიტუ-  
ველი ბალხი მოდიოდა, — კაცები და ქალები. მხოლოდ  
წელზე ეხვით რაღაცა მჩვრების მსგავსი, დანარჩენი სხეუ-  
ლი შიშველი ჰქონდათ. ხელებზე და ფეხებზე სპილენძის  
სამაჯურები და ყველა თითებზე ამნაირივე ბეჭდები ჰქონ-

დათ გაკეთებული. ყურებზე თუ ცხირზე ბლობად ეკიდთ  
სპილენძისავე საყურეები.

ძლივს მორაცრაცებდნენ. ღორნე-გამოლეულნი მძიმედ  
სუნთქვავდნენ. თავს გვიკრავდნენ და რაღაცას გვთხოვდნენ.  
თვალების გამომეტყველება ისეთი შეწუხებული და ამღვრუ-  
ლი ჰქონდათ, რომ თითქოს იმ წუთებში ციებ-ცხელებას  
განიცდიდნენ.

რაღაცაზე გვეველრებოდნენ, საცოდავად გვეხვეწებო-  
დნენ.

კილოზე მივხვდი, რომ ჰანეპატი უარს ეუბნებოდა.

— ჰანეპატ!

— ბატონო!

— მე ხომ მოგეცი მთელი ტოპრაკა სპილენძის ფული.  
დაურიგე...

— ესენი, ბატონო, წყალს თხოულობენ და არა  
ფულს.

— წყალსა? როგორ თუ წყალს?

— ჰის წყალს, ბატონო!

— სად არის აქ ვა?

— ია, ბატონო! — და შორი-ახლო მიმითითა.

— მაშ ალბათ ჭურჭელი არა აქვთ, რომ წყალი ამო-  
ილონ?

— ბარემაც აქვთ. ჭასთან ყველაფერი არის...


— მაშ რატომ თითონ არ ამოიღებენ წყალს?

— არ შეუძლიანთ! ნება არა აქვთ!

— როგორ თუ ნება არა აქვთ? რატომ არ შეუძ-  
ლიანთ? მითხარი, რაღას მაწვალებ! — ვეკითხებოდი გარ-  
ცებული.

— იმიტომ არ შეუძლიანთ, რომ ესენი წოდების გარე-  
შე არიან, — მიპასუხა ჰანეპატმა, თითქოს ამითი ამისნა  
ყველაფერი.

მე დაუყონებლივ ვუბრძანე მეურმეს, რომ შეჩებუ-  
ლიყო.



შიამილ დარბაიშვი,

ქართველი მაპმადიანი, იზიოთელი (მარმარას პირზე).

\*) პარი ინდოეთში ჰქვიან მონას ანუ ყმასა. პარიები არ ეკუთ-  
ვნიან არც ერთს იმ ოთხ წილებათაგანს, რომელიც ინდოეთის მოქა-  
ლაქის უფლებებით სარგებლობენ. არც ერთი სამოქალაქო წილება  
არა თუ არავითარ საქმეს არ იჭერს პარიებთან, ახლოც კი არ იკარებს,  
რომ არ „წაიბილწოს“ მათის სიახლოვითა,

შეშინებული პარიები მოშარებით დადგნენ, მოკრძა-  
ლებით და დარცხვენილნი, საბრალოდ გამოიცეირებოდნენ.  
თითქოს ბოლიშს იხდიდნენ, რომ ქვეყნაზ არსებობენ და  
თავიანთის არსებობით იდამიანის თვალს შეუჩაცხყვენ.

ჰანეპატმა ჩემის გრძანებით ნებაუნებლიერ და უსია-  
მოვნოდ მიაწოდა წყალი. გაშმაგებით დაეწაფენ. ეჩქარე-  
ბოდნენ. თითქოს კი არა სვამლენ, ლოკავლენ და სვლე-  
ვავლენ. ზოგიერთნი მეტის-მეტ სიამოვნებისაგან თვალებს  
ჲუპავლენ.

ამასობაში მე, რამდენად შესაძლებელი იყო, ვარკვევ  
დი საქმის ვითარებას.

— რატომ თათონ არ ამოიღეს წყალი ჭიდან? — ვკით-  
ხე ჰანეპატს.

— არ შეიძლება, — მიპასუხა მოკლედ.  
— რატომ არ შეიძლება?  
— იმიტომ, რომ ესენი წოდების გარეშე არიან.  
— მერე რომ წოდების გარეშე არიან?  
— განა შეუძლიან, ბატონო, წოდების გარეშე მყოფ  
ადამიანს ჭას მოეკაროს!  
— რატომ?  
— იმიტომ რომ მისი აჩრდილი ჭას მოხვდება.  
— მერე?  
— წყალს შებილწვას, გააფუჭებს.  
— აჩრდილი გააფუჭებს?

— ჴო, აჩრდილი! აბა რა უნდა იყოს აჩრდილი იმ ადა-  
მიანისა, რომელიც წოდების გარეშე ითვლება... საზიზლარი  
და წამბიწვლელია!..

როგორლაც გამოურკვეველი ურულა მივლიდა სხეულ-  
ში, როცა ვუყურებდი ამ საცოდავებს. რა იწვევდა ამ  
ჭრულას — სიბრალული თუ ზიზი, მე თვითონ არ მე-  
მოდა ვგონებ, ერთიც და მეორეც, როგორც ეს მოხდება  
ხოლმე; როცა ხედავ გატყლეტილს და ჯერ კიდევ ცოცხალ  
ბაყაყს.

რითი დაიმსახურეს ასეთი ხვედრი ამ უბედურებმა? რა  
დაუშავებიათ? ნუ თუ ქორწილი ან ქელეხი სხვებსავით არ  
იხადეს? ან შეიძლება ქურუმებს მიწის ღალა\*) დროზე არ  
მისცეს! ან ჯვარისაწერი თუ დამარხვის სასყიდელი დაუჭი-  
რეს მათ!?

ყველ შემთხვევაში ქურუმებმა ეს დაბექავებული მი-  
წის-მუშა ხალხი, მისი ოჯახები და შთამომავლობა წოდე-  
ბათა გარეშე გამოაცხადეს.

წოდების გარეშე!.. მონობა!.. უდიადესი უბედურობაა,  
რომლის გასწორება შეუძლებელია!..

როცა ქურუმი გზაზე მიდის, ხშირ-ხშირად უსტვენს,  
რომ მონებმა გაიგონ მისი მოახლოვება, გზა დაუცალონ,  
დაიმალნენ და არ შელახონ მისი ღვთაებრივი თვალები.

როცა მონა ბაზარში მიდის, კრძალვით მიიპარება ღო-  
ბის ძირას, რომ მისი ჩრდილი სანოვაებს არ მოჰვდეს. თუ  
მოხვდა, სანოვაებს წაბილწულად ჩაითვლება და უნდა გადა-  
ჰყარონ.

ვხედავდი: ისინი ჰანეპატსაც ისე უვლიდნენ გარშემო  
წყლის გმორთმევის დროს, რომ მათი ჩრდილი მას არ  
მოჰველროდა და არ წაებილწა.

მთელი უბედურობა იმაშია, რომ ეს ვითომდა ადამია-  
ნები თვითონ, თვითონ არიან დარწმუნებულნი, რომ მათი  
აჩრდილიც კი შემლახველი და წამბილწველია. ყველაფერს  
აფუჭებს, რასაც კი მოჰვდება!

\*) ინდოეთში, სადაც ამ დროებით დიდი ეროვნული და პოლი-  
ტიკური მოძრაობაა და დღითი-დღე რევოლუციას მოელიან, მიწის  
უმეტესობა ქურუმებს (სამდვდელოებას) ეკუთხით, რომელიც მიწას  
იმათ აძლევენ იჯარით, ვინც მეტს ფულს გადაიხდის. როგორც ქურუ-  
მობა, ისე მიწის მფლობელობა) მემკვიდრეობით გადაიდის შთამავლო-  
ბაზე, რის გამო ქურუმები ძლიერ შეძლებულნი არიან და დიდი გავ-  
ლენაცა აქვთ.

წყლით სავსე ჭასთან წყურებილით იხოცებინ. რევე  
წყალია და უწყლობით სული ამოსდით. გარეშემო უდაბ-  
ნოა. არც ადამიანია, არც ცხოველი. ვერავინ ნახავს. ერ-  
თად-ერთნი არიან კის ქვეშ და წყლის ამოღება-კი ვერ გაუ-  
ბედნიათ, რომ მათი ჩრდილი ჭის წყალს არ მოჰვდეს  
და წყალი არ გააფუჭოს, არ წაბილწოს...

იმდენი წყალი დაღიერებს, რომ დაიღალნენ კიდეც.

ბოდიშ იხდიდნენ, რომ ქვეყნად არსებობდნ, მაგრაც  
ბედნიერნი იყვნენ, რომ წყლით გაძლიენ, — ასეთი იყო  
მათი თვალების გამომეტყველება.

მინდოდა მეჩუქებინა რამე, ჩაგრამ არ მართმევდნენ,  
ვერ მოღიოდნენ. ეშინოდათ, თავიანთის მოახლოვებით არ  
წავებილწე...

დაჩოქილნი მადლობას გვიხდიდნენ, რომ წყლით გავა-  
ძლეთ...

— ჩეარა! წავიდეთ! — თითქის შევეხვეწე ჰანეპატს,  
რომ ჩეარა მოვშორებოდი მწარე ფიქრების აღმძრელ სუ-  
რათს.

რა საცოდავობა იყო!

ამბობენ, რომ მონობა ეკონომიურ პირობების შედე-  
ბიათ.

არა!

მონობა ერთნაირი ავადმყოფობაა თვით ადამიანის სუ-  
ლისა.

მონობის გრძნობა თვით ადამიანის ბუნებაშია ჩაქო-  
ვილი.



## წვრილი ააგები

**უცნაური მუმია.** როგორც ვიცით, ეგვიპტეში დღესაც  
მრავალ მუმიას პოულობენ. ამ მუმიებს სამი და ოთხი ათასი  
წლის ისტორია აქვთ. ძველად ეგვიპტეში მკვდრის სხეულს  
ისე ისტატურად აზავებდნენ წამლებით, რომ სხეული არ  
იხრწნებოდა და არა ფუჭდებოდა. ერთი ასეთი მუმია, ძველ  
ქურუმისა, ამას წინად ინგლისელებმა ინგლისის მუზეიში გა-  
დაიტანეს. ეს ქურუმის ცხოვრობდა ექსპოზიციაში წინად ქრის-  
ტეს დაბადებამდე, მაში ასაღამე, დღეიდან 2510 წლის წინად, ამ  
მუმიას მეტად უცნაური თვისება აღმოაჩნდა. ვინც მიეკარა, —  
ან მოკვდა, ან გაგიუდა, ან ავად, გაზღა ან სხვა რამ უბედურება  
დაემართა. ინგლისელს რომელმაც ეგვიპტეში ეს მუმია იყი-  
და, მხედ დაპერა. მისი მეგობარი ქუუაზე შეიშალა, პირველ  
ინგლისელის მღივანი ტრამეის ვაგონს ქვეშ მოჰვდეს. იმათგა-  
ნი, ვინც მუმია ეგვიპტედან ინგლისში ვადაიტანეს, ყველანი  
ავად დაპერდნენ, უმთავრესიდ ნერვების აშლილობით. რო-  
დესაც მუმია ლონდონში მიიტანეს, ერთი მეცნიერი დაე-  
ნდლია თავის ნაცნობს — მივალ მუმიასთან, მაგრამ არაფერი  
არ მომივაო. წავიდა მუმიასთან და ხელი მიაკარა. არ გასუ-  
ლა სამი ღლე, რომ მეცნიერმა რევოლვერით თავი მოიკლა. ფოტოგრაფი,  
რომელმაც მუმიის სურათი გადაიღო, დაბრ-  
მავდა. მუმია მუხეიში ბევრმა ხალხმა დაათვალიერა. ეხლა  
ამათგან მეზეებს გამგეს წერილები მისდის. ყველა ატყობინებს,  
ავად გავხდი, ნერვები ამეშალაო და სხვა. ამ უამაღ, „ნოვ-  
გრ.“-ს სიტყვით, მუხეის აღარავნ ეკარება თურმე.

